

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ფორმალური და არაფორმალური
გავლენების პირობებში

სალომე კვიციანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე კვირიკაშვილი

5.07.2021 წ.

აბსტრაქტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კონსტიტუციურ ღირებულებითი სისტემის დაცვითა და ხელისუფლების შეზღუდვის მანდატით, ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიისაკენ სწრაფვის რთულ და გამოწვევებით აღსავსე პროცესს. თუმცა, მასზე დაკისრებული ფუნქციის მაღალი სტანდარტით შესრულება მხოლოდ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს შეუძლია. ამავდროულად, სასამართლოს ხელთ არსებული ძალაუფლების გამო მნიშვნელოვნად იზრდება ხელისუფლების შტოთა სურვილები ზეგავლენა მოხდინონ სასამართლოზე. ნაშრომის მიზანი სწორედ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოს ხელთ არსებული დამოუკიდებლობის მექანიზმების შესწავლაა. როგორია ხელისუფლების შტოთა მიერ სასამართლოზე გავლენის მოხდენის ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები და რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს, ამგვარი გავლენისაგან თავდასაცავად, რათა სასამართლომ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სასამართლო დამოუკიდებლობა, მიუკერძოებელი სასამართლო, ფორმალური მექანიზმები, არაფორმალური მექანიზმები.

Abstract

The Constitutional Court of Georgia, by protecting the human rights and freedoms, as well as the system of constitutional values and with the mandate of restraining the Government, promotes the difficult and challenging process of striving of the country to democracy. However, only an independent and impartial court can perform assigned functions to a high standard. At the same time, due to the power of the judiciary, the desire of the branches of Government to influence the judiciary increases significantly. The goal of this paper is to study the very mechanism of judiciary independence in the process of implementation of constitutional justice. What are the formal and informal mechanisms for the influence of the branches of Government on the court and what are the legal mechanisms to prevent such influence so that the court can ensure the performance of its duties with a high degree of independence and impartiality.

Keywords: Independence of the judiciary, impartial judiciary, formal mechanisms, informal mechanisms.